სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების ...ᲠᲐᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

1952
სამშაბათი
11
ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
№ 22 (10553)
ფასი 1 მანეთი

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲟᲐ ᲒᲕᲛᲝᲫᲦᲕᲠᲐᲕᲡ

ამბობენ, უკვე სნეულმა ვაჟამ საავადმყოფოს მომვლელ ქალს სთხოვა, რომ იატაკზე დაეწვინათ და გარშემო ახლად მოცელილი ბალახი და ყვავილები დაეყარაო.

...მე მეჩვენება, რომ ამაში სიცოცხლის გახანგრძლივების, ნიქნებ გადარჩენის იმედი ესახებოდა. რამეთუ ეს გენიოსი ბუნების სუნთქვით ცხოვრობდა.

ილიასა და აკაკისთან ერთად, ვაჟა ჩვენთანაა დღეს, ჩვენს გვერდით დგას და ომახიანად შემოგვძახის: „გულო, არ გატყდე, გამაგრდი, კლდეო, კვლავ იდექ სალადა!“

ვდგევართ. ვდგევართ ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნაზე. ვდგევართ და ყურადღებით ვუსმენთ ვაჟას, ვითარცა ცოცხალს, ჩვენს გვერდით მდგომს. იგი დღესაც განსაცვიფრებლად მართალია: „საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას“.

სწორი ბრძანებაა.

აბა, ჩვენი დღევანდელობისათვის დამახასიათებელი ეთნოკომფლიქტების მიზეზი რა არის? რის შედეგია სხვადასხვა რეგიონებში ვითარების ესოდენ გამძაფრება, თუ არა იმისა, რომ ხალხებს თავისუფლება ჰქონდათ წართმეული.

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲟᲐ ᲒᲕᲛᲝᲫᲦᲕᲠᲐᲕᲡ

დღემდე ბორგავს, აღარ წუნარდება მთიანი ყარაბახი, დნესტრისპირეთი. განა შეიძლება სუმგაითს, ფერგანის, დუშანბეს სისხლიანი დღეების დავიწყება. ახლაც ყურში ჩაგვესმის ათასობით ლტოლვილის განწირული სულისკვეთება.

თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა.

ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ ძველი ცხოვრება მართლაც ანგარიშს აბარებს ახალს, მომავალ ცხოვრებას, ხოლო თვითონ �icdილობს გაიპაროს, როგორც გაწბილებული მატყუარა.

ვაჟა ისევ და ისევ გვმოძღვრავს ავს აუღელვებლად, მოთმინებით, მთის კაცის სიდარბაისლით და ცოტა არ იყოს გაკვირვებულიც კია, რომ უბრალო რამ ჭეშმარიტებისა ვერა გაგვიგია რა.

კერძოდ: მეცნიერება სხვათა შორის სამ საშუალებას აღიარებს ერის საბედნიეროდ: ქონების სამართლიანად განაწილებას, ცოდნის გავრცელებასა და ერის გამრავლებას.

გასანაწილებელი რომ რაიმე გვქონდეს, მით უფრო სწორად და სამართლიანად, სიუხვეა საჭარო, რაც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია. ხოლო ამის გარეშე არც დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ერი მდიდარი უნდა იყოს. ერის შვილი—ადამიანი. უნდა დაიძლიოს სიმდიდრისადმი ეგრეთწოდებული სოციალისტური დამოკიდებულების აბსურდული ფორმულა, მოდით, ისევ დიდ ვაჟას ვუგდოთ ყური: „ყველას, ვისაც ჭკვა აქვს, თუნდაც გლეხი იყოს, ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს მდიდარი ხალხის გამრავლება. რადგან მრავალი მდიდარი, როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეჰმატებენ. სანუგეშონი არიან!“.

ვაჟამ მთის სიმაღლიდან გადახედა სივრცეს და ღრუბლებში დამალული ჩვენი ხვალინდელი დღე დაინახა: „თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა განათლება. თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული. უნდა მიანიჭოს ნება, უფლება. იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება, იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს“...

მაღალი ღმერთი გისმენდეს და შეგვეწიოს ჩვენ, შენს მოდგმასა და ჭირისუფალს, ერის სასიქადულო შვილო.

თამაზ როგავა.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲕᲬᲓᲘᲚᲝᲑᲗᲘ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ამჟამად შექმნილ ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას ვერც ცეკავშირის „საკავშირეწვის“ საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის საწარმოო კომბინატი აცდა. კოლექტივი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს მინიმალური საწარმოო საბაზისო პოტენციალი. კომბინატის წინაშე მდგარ სადღეისო პრობლემებზე აი, რა გვითხრა მისმა მთავარმა ინჟინერმა შ. გერგედავამ:

რამდენიმე თვეა თითქმის საწარმო უფუნქციოდ დარჩა. მაქსიმალური ძალისხმევით შევძელით საწარმოში დარჩენილი რესურსების მობილიზება და მათი ჩართვა შეზღუდულ საწარმოო ციკლში. ბოლო ორი თვის განმავლობაში მოხერხდა 3 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება. ამ მოცულობის ნაწილს ადგილზე გაუკეთდა რეალიზაცია. დარჩენილი პროდუქცია უნდა გადავუგზავნოთ ტრადიციულ მომხმარებელს სხვადასხვა რეგიონში. თუმცა მისი გადაგზავნა პრობლემაა, ძირითადად ტრანსპორტირება გვიჭირს. ტარდება ქმედითი ზომები შექმნილი წინაღობების მოსაგვარებლად.

ა. ბაბუნია.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲡᲯᲘᲡ

ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲢᲝᲕᲔᲑᲡ

სამოქალაქო მშვიდობა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრება! ეს არის საზოგადოების საერთო ძალისხმევის მიზანი. ამ ეტაპზე, როცა საქართველო გაეროს წევრი გახდა, ყოველმა ჩვენგანმა თავისი განწყობილება უნდა შეუერთოს შინაგაშლილობის როგორმე დაძლევის მცდელობას. უნდა გამოირიცხოს დაპირისპირებულ მხარეთა შორის ძალისმიერი მეთოდით საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობა. რაღათქმა უნდა, არის ობიექტურად განაწყენებული, გაუბედურებული ადამიანების ტკივილი, ძნელად, დასაძლევი ფსიქოლოგიური განცდები, მაგრამ ორმხრივი კომპრომისების კონსტრუქციულად ძიების ჟინმა არ შეიძლება შედეგი არ მოგვიტანოს.

ჩემი კოლექტივი არ გახლავთ გამონაკლისი. აქაც არიან სხვადასხვა პოზიციებზე მდგომი პირებიც, მაგრამ უშუალო კონტაქტში, საუბრებში ვრწმუნდები, რომ ჩემნაირად ბევრი ფიქრობს.

ეს მანიფესტი უცილოდ დაგვეხმარება ადამიანებს ურთიერთ ნდობისა და გაგების ატმოსფეროს დამკვიდრებაში.

მ. ᲚᲐᲙᲔᲠᲑᲐᲘᲐ.

ჩაის ექსპერიმენტალური ფაბრიკის საამქროს უფროსი.

ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲫᲚᲝᲗ

ბოლოს და ბოლოს უნდა შევძლოთ, რომ საქართველოში სიმშვიდემ დაისადგუროს, ადამიანები დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს. ეს იოლად მისაღწევი რომ იყოს, რაღა გვჭირდა. დიდი ეროვნული გონი და შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინოთ ყველამ, განსაკუთრებით მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის.

მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს დავძლევთ ამ ტრაგიკულ გათიშულობას, გავმთლიანდებით და დანგრეულ ქვეყანას ჩიხიდან გამოვიყვანთ.

ზ. ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐ,

ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ

ის ფაქტი, რომ თითქმის მთელმა მსოფლიომ გვცნო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიგვიღეს გაეროს წევრად, საქართველოს მომავალს ნათელსა და იმედიანს ხდის. ამ მოვლენასთან ლოგიკურ კავშირშია სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების მიზნით მიღებული მანიფესტი.

დღევანდელი შინაგაშლილობის გადალახვის ყველაზე ოპტიმალურ გზად ურთიერთ ნდობის ხიდების ძიება, პირადი წყენისა და ტკივილების როგორმე დაძლევა და ქვეყნის გადარჩენაზე ერთობლივი ზრუნვა, მესახება.

თუ დიდი შერიგებისაკენ ნამდვილად გადაიდგა რეალური ნაბიჯები, დღევანდელი უსასოობით გულშეჭირვებული ადამიანები თანდათან ზურგს უკან მოვიტოვებთ იმედგაცრუებას, ყოფის უპერსპექტივობას. მწამს ისიც, რომ ჩვენებურ კაცში უსაზღვროა მიტევების, შენდობის შინაგანი ფსიქოლოგიური შესაძლებლობები.

ჩვენ, ყველამ ერთად უნდა შევძლოთ სამშობლოს გადარჩენა.

გ. ᲒᲣᲚᲨᲔᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ფაიფურის ქარხნის მუშა-ფერმწერი.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

—„ჩვენ, ჩვენმა ხალხმა უკანასკნელ წლებში მრავალი ქარტეხილი გამოვიარეთ, —ასე მიმართა ჩარგალში გამართულ „ვაჟაობაზე“ შეკრებილთ დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ უშანგ პირმისაშვილმა. მოძალებულმა შინაურმა, თუ გარეულმა მტერმა აგვშალა, აგვრია, საქმე იქამდე მივიდა, რომ ძმამ ძმაზეც კი აღმართა ხელი, მაგრამ ღვთის წყალობით, დგება ჟამი მიტევებისა და გამოფხიზლების, ჟამი სამშობლოსაკენ შემობრუნებისა, მისი სამსახურისა, რაშიც უპირველეს ყოვლისა ისევ ჩვენი ერის დიდი შვილების საუკუნეების მანძილზე ნაფიქრალ-ნაანზრევი უნდა დაგვეხმაროს“... აუწყებს მკითხველებს 4 აგვისტოს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

* * *

ამავე ნომერში დაბეჭდილია სასიამოვნო ინფორმაცია, რომელშიაც ვკითხულობთ: „ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მეორედ აუღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ეროვნული დროშა 90 კილოგრამ წონის კატეგორიის ძალოსანთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ცხინვალელმა ათლეტმა კახი კახიაშვილმა“.

„სვობოდნაია გრუზია“—4 აგვისტო:

სახალინის გუბერნატორმა ვალენტინ ფედოროვმა მოითხოვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის და მისი მოადგილის გიორგი კუნაგის დაუყოვნებლივ გადადგომა. ვ. ფედოროვი ცნობილია თავისი ემოციური გამოსვლებით იაპონიისათვის კურილიის კუნძულების გადაცემის საწინააღმდეგო კამპანიაში“.

„...ფინელი ჟურნალისტები საკუთარი გულწრფელად თვლიან თავის თავს დამოუკიდებელ კალმოსნებად, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ავტომატურად თავის თავზე იღებს სატრანსპორტო, საფოსტო და, ცალკეულ შემთხვევაში, სასტამბო ხარჯებს.“ —

ამას იუწყება მიმდინარე წლის 26 ივლისის გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“.

* * *

შეგვიძლია

სანამ მეფობს ჩემში მუზა,
არ ჩავუშვებ არსად ღუზას.
თუ ცხოვრება სახრეს დამკრავს,
სახრეს გზაზე ჩამუხლების—
მაინც, მაინც ვივლი აღმა,
ფონს მოვძებნი, გავალ გაღმა
და „ეკლიან შავბნელ დაღმართს
მაინც აღარ ჩავუყვები.
მე არაფრის შიში არ მაქვს,
გამიარა შიშის ქარმა,
რადგან სულში ნინოს ჯვარმა
სახვალიო მომცა რწმენა.
მზე ანათებს დღე— ნისლიანს
და დღეს ჩვენი დევიზია:
შეგვიძლია, შეგვიძლია
საქართველოს გადარჩენა!
თითს დავაჭერ ისე ფრთხილად,
საქართველოს ზარის ღილაკს,
აღუღუნდეს თბილად—ტკბილად..
და ტანჯული ჩემი ერი
შესცინოდეს იმ ცა-მიწას,
იცავდა და დღესაც იცავს,
მიაღწიოს იმ დიდ მიზანს,
რომ იყოს სულ ბედნიერი.
მხოლოდ მისთვის თესდეს-მკიდეს,
პასუხს სცემდეს არამკითხეს,
მტერს მტრად თვლიდეს, ძმას
ძმად თვლიდეს
და ქართველმა იგრძნოს ლხენა...
გვეკისრება ეს მისია,
რადგან ჩვენი დევიზია:
შეგვიძლია,
შეგვიძლია
საქართველოს გადარჩენა!

ვახტანგ გულუა.

მივბაძოთ მას...

რა არის ადამიანში უპირველესი ?

სიყვარული, კაცთმოყვარეობა, სარწმუნოება?

რა თქმა უნდა, ყველა მათგანი აუცილებელია, მაგრამ მაღალგანვითარებული არსებისთვის ყველაზე მთავარი რწმენა უნდა იყოს, რწმენა ღვთისა, შემოქმედისა, რომლის გაჩენილნიც ვართ და რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ მუდამ.

სწორედ ასეთ ფიქრებს აღგვიძრავდა რელიგიის ისტორიის გაკვეთილები, რომელსაც ჩვენს სკოლაში საინტერესოდ გვიტარებდა მედიკო მასწავლებელი, მედიკო ჭაჭუა, რომელიც თავად არის ღვთისმოშიშობის, კაცთმოყვარეობისა და თავმდაბლობის მაგალითის მომცემი.

ცხოვრებაში გვხვდებიან ღვთის უარმყოფელნიც, ისეთები, რომლებსაც ღმერთის არსებობა არ სჯერათ, მაგრამ მგონია, გულის სიღრმეში მათ მაინც უკიაფებთ რწმენის ნაპერწკალი, შიში ბოროტის ქმნის წინაშე.

რელიგიის ისტორიის ყოველ გაკვეთილს გულისფანცქალით ველოდით. სულგანაბული ვუსმენდით მედიკო მასწავლებელს. ის კი გვიყვებოდა პირველ ქრისტიანთა შესახებ, წამებულთა ამბებს, ყველაზე შთამბეჭდავი იყო ის გაკვეთილი, რომელზეც მან წმინდა ნაწილები—ქვები გვიჩვენა, წამებულთა სისხლის წვეთები რომ იყო დანთხეული.

„გიყვარდეს მტერი შენი“... — ჩაგვძახის იგი მუდამ, გიყვარდეს... გიყვარდეს...

ლელა ნინუა,

ტკივილიანი ყოფის ზოგიერთი პარადოქსი

„იარეგოდა დედაი, ტირილით თვალცრემლიანი“...

ჩვენს თავზე დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ბევრი ოჯახი გააუბედურა. არაერთი ჯანლონი სავსე ლამაზი ოცნების ქალიშვილის და ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა შინა აშლილობამ. მოგვეჭალა ცრემლი და ძაძები. გულდაკოდილი შაოსანი დედების სილუეტი ჩვენი დუხჭირი ყოფის თანმდევი რეალობაა. სავსებით გასაგებია მათი ბორგვა ახსნას ექვემდებარება ის ანომალიური სიტუაციები, რაც მიტინგებზე შეკრებილთა ტოტალურ განაწყენებას ბადებს. მკრეხელურია ამ ადამიანთა რაიმე შეურაცხმყოფელი ეპითეტით შემკობა მით უფრო ბედდრობითი სქესის წარმომადგენლისა. მაგრამ გულსაკლავი და შემაწუხებელია ის ფაქტი, რომ წმიდათაწმიდა, ეროვნული ინტერესებით აღძრულ ამდაგვარ გულისხმევას შიგადაშიგ ყალბი ტონალობაც გაერევა წრფელ შინაგან მრწამსს მოჩვენებითი, ფარისევლური გრიმასი ცვლის. ასეთი მომენტები დაბლა სცემენ თვით მიტინგის რეიტინგს, ძმიმე ფიქრებით მუხტავენ გარემოს და ცალკეულ შემთხვევაში ნაზნობრივ, თავისი არსით კონსტრუქციულ აქციას აშკარა ექსცესში გადაზრდიან ხოლმე. ვაი, სიცხვილო, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს საამისოდ, რომ წმიდათაწმიდა ტკივილისა და გაუნელებელი სულიერი ცეცხლის მატარებელი ამ შაოსნების გვერდით ნიღბოსანთა სახელი და გვარი ახსენო. შეგნებულად არც ვაპირებთ ამჯერად ამის გაკეთებას, იმ იმედით, რომ იქნებ უფლის ყოვლისშემძლე ნებამ საკუთარ სინდისში ჩახედოს და უკეთური ქმედების სურვილი ჩაუკლას. „ავ“ ენები“ იმასაც ამბობენ, ზოგი მათგანი საკმაოდ ხელგაწაფული კორ-ვაჭრის რეპუტაციით სარგებლობს მოსახლეობის თვალში და როგორც კი დროს იხელეთებს, თავისუფლებისა და სამართლიანობის მესაყვირედ სურს ხალხს თავი მოაჩვენოს. ასეთი ლაგამწაყრილი ურცხვობა, დიახაც არ გვეკადრება ამაყ ოდიშელებს.

„იარეგოდა დედაი, ტირილით თვალცრემლიანი“—ეს გაუხუნარი ხალხური სტრიქონი გვაგონდება ხოლმე შაოსანი დედების ნაბჯისას შინაგაშლილობის ხანძრით გადატრუსულ ზუგდიდის ქუჩებზე და მოედნებზე. და როგორ უნდა დავუშვათ ბიწიერებამ შებღალოს მათი სულის კივილი, ცას რომ ზარავს და დიდი სიმართლის შორეულ ექოდ რომ მოგვესმის.

სარედაქციო
კოლეგია

რეპლიკა

მსოფლიო ცივილიზებული ფორმით

ეროვნული ინფორმაციაა

უამრავი სიძნელით გახთანგული ჩვენი დუხჭირი ყოფა ძნელად გვიტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებაში არსებული განსხვავებული აზრების და პოზიციების თანაარსებობა უკონფლიქტოდ, ზედმეტი ვნებათა ღელვის გარეშე წარიმართოს. არის მოქალაქეთა კატეგორია, რომელნიც კრიზისიდან ქვეყნის გამომყვან პოლიტიკურ ძალას სახელმწიფო საბჭოში ხედავენ. მაგრამ უფრო შთამბეჭდავია იმათი რიცხვი, ვინც კანონიერ, ლეგიტიმურ ხელისუფლებას უჭერს მხარს და ცალსახად მოითხოვს მის დაბრუნებას. თუმცა ასე ტლანქად გაყოფა საზოგადოებისა ორ ბანაკად, არ იქნება სწორი. ცნობიერებაშიც შავისა და თეთრის გარდა არსებობს ფერთა ფართო სპექტრი. არიან ჩვენს შორის ისეთებიც, ვინც უფრო ლოიალური, ან ნეიტრალური პოზიციაზე დგომას არჩევს. მავანნი არცერთი მხარისაკენ არ იხრებიან და პრობლემის გადაწყვეტის სულ სხვა გზას გვთავაზობენ.

ასეთია რეალობა. მას თვალს ვერ მოვუხუჭავთ.

გაოცებას იწვევს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის დამოკიდებულება განსხვავებული აზრისადმი. მას ნამდვილად ატყვია მოუთმენლობის, გაბოროტების კვალი. რაც არ უნდა მიუღებელი, თუნდაც დემაგოგიური აზრი არ გამოხატოს ოპონენტმა, ჩვენის მხრივ პასუხში დაცინვისა და ლანძღვა-გინების ელემენტები არ უნდა დავუშვათ. ოპონენტისაგან წამოსულ ცინიზმსა და ღვარძლს დამაჯერებელი არგუმენტები უნდა შევაგებოთ. ამით შევძლებთ ექსტრემიზმის, კონფრონტაციის ცეცხლის განელებას, საზოგადოხტავენ გარემოს და ცალკეულ

ყველანი უნდა გავისარჯოთ იმისათვის, რომ ყველა დონეზე დიალოგი და პოლემიკა კულტურული, ცივილიზებული ფორმებით წარიმართოს.

„პატარა“ პრიმინალური ამბავი „გლახაპი და ქილა ერგოს“ მოტივზე

ერთი კაცი საკუთარი „გაზოცდაოთხით“ მიდიოდა ხეთასა ახლოს რკინიგზასა ზედა და ნახა მავანნი თუ ვით ძარცვავდნენ სურსათით სავსე სატვირთო მატარებელს. დაამუხრუჭა, ჩამოხტა მანქანიდან, დაიწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა:

—აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი. ხუთიოდე ტომარა შაქარს მეც წავიღებ, ცოლშვილს გავახარებ. ორ ტომარა შაქარს ოთხ-ოთხ ათასად დავყიდი, მერე მით ყურძენს ვიყიდი, დავწურავ, ღვინოს დავაყენებ, ერთ ტომარასაც სამურაბედ გადავდებ, დანარჩენს ზამთრისათვის სახმარად შემოვინახავ და აშენებული შევიქმნები.

და ამ გულისთქმაში მატარებელსაც მიაღწია, წამლებ-მძარ— ცველთა მარაქაში გაერია, ერთ ტომარა შაქარს იმანაც მხარი აუდვა და მანქანისკენ წამოიღო.

ერთი დიდრონი ქვა დახვდა, ფეხი წამოკრა ქვასა, წაიბორძიკა, თავი ვერ შეიმაგრა და წაქცეულს ტომარა ზედ დაემხო. გამოიხედა მანქანისკენ დავარდნილმა და ელდანაკრავმა შესძახა: ვაჰმეო!

ტომრის სიმძიმეს კი დააღწია თავი, მაგრამ მისი „გაზოცდაოთხი“ აღარსად იყო— ქურდს დრო ეხელთა სიავის საქმნელად. მუქთა საშოვარს დახარბებულმა საკუთარი ქონებაც ასე დაჰკარგა.

ჯ. ჯაბადარი.

უწინარესად პენსიონერებს მივხედოთ

ანები ჩვენში ადრეც, კომუნისტური რეჟიმის დროს და მითუმეტეს ახლა, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის ჟამს, სოციალურად ყველაზე დაუცველნი არიან.

ჯერ კიდევ მწირი პენსიები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს საარსებო, ყოველდღიურ მოთხოვნებს ვინც მუშაობს კიდევ ჰო, აქვს რაღაც გარანტირებული იმედი, მაგრამ რა ქნას, რა სახსრებით გაუმკლავდეს მზარდ საბაზრო ფასებს, რით გაიტანოს თავი უმუშევარმა პენსიონერმა თუკი ოთვეობით ფერხდება მასზე დანიშნული პენსიების გაცემა?!

როგორც კავშირგაბმულობის ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე გოგიამ გვითხრა, კავშირგაბმულობის სამმართველოს სალაროებთან უმუშევარ პენსიონერთა უსაშველოდ დიდი რიგები გამოწვეულია საჭირო ოდენობით ფულის ნიშნების უქონლობით. გაუცემელი თანხა რამდენიმე მილიონ ბანეთს აღწევს. ქალაქსა და რაიონში მცხოვრები 24 ათასი უმუშევარი პენსიონერის თითქმის 80 პროცენტს იანვრიდან არ მიუღია მომატებული პენსია პურის კომპენსაციის ჩათვლით. კატასტროფულად მცირეა ნაღდი ფულის შემოსავლები, რაც განპირობებულია საწარმოების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების არასტაბილური მუშაობით, უმოქმედობით. სანამ ადგილზე სახურველ დონეს არ მიაღწევს ფულის მიმოქცევის მდგომარეობა და ნაღდი ფულის შემოსავლები, მანამ ვერ მოგვარდება პენსიების დროულად გაცემის პრობლემა. ერთი სიტყვით, ყველამ ხელი უნდა გავანძრიოთ. აქვე დავძენ, რომ როგორც რესპუბლიკური ბანკის ხელმძღვანელობამ ვვაცნობა, უახლოეს დღეებში შემოტანილ იქნება ფულის ნიშნები და ის უწინარესად პენსიების გაცემას მოხმარდება.

ჯ. არძანია.

მეუღლე შურა, შვილები: ზურაბი, მერაბი, ირაკლი, შვილიშვილები: ნინო, ეკა თორიები, ძმისშვილები, დისშვილები, რძლები: ცირა გედევანიშვილი, ვალია რატიანი, ლაურა თოდუა, ლუარა ქანკია, ცოლისძმა კოტე კალანდია, ქვისლი კარლო ბერიშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჰიპიკო დროროთეს ძე თორია. პანაშვიდი 11, 12 აგვისტოს, დაკრძალვა 13 აგვისტოს სოფ. კოკში.

ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის მეათე (ბ) კლასის მოსწავლეები. კლასის ხელმძღვანელი ლენა გულუა, მოსწავლეთა მშობლები და სკოლის პედკოლექტივი იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის

ალიკა ვალერის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გლხვერნებულს ოჯახს.

ზუგდიდის განათლების განყოფილება თანაუგრძნობს ლია თოდუას მამის

სევერიან თოდუას

გარდაცვალების გამო.

ზუგდიდის საშუალო სკოლის მეცხრე (ა) კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ეკა ბერიძე, მოსწავლეთა მშობლები, ოჯახი, ნათესავები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

რამინი ლევენტის ძე კუკავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 აგვისტოს. დასაფლავება 13 აგვისტოს ს. დიდნინეში. (ზუგდიდის რაიონი).

ინდექსი 61607 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №6 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-60, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-17-00

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56. 2-23-07 ტირაჟი 1200 შეკ. №280